„ახალი ევროპული ბაუჰაუსი“

2026 წლის სამუშაო პროგრამის სიახლეები

Ana Goletiani

European Innovation Council and European innovation Ecosystems (EIC&EIE)

European Institute of Innovation and Technology (EIT)

New European Bauhaus (NEB) **National Contact Person**

a.goletiani@mes.gov.ge

New European Bauhaus (NEB)

ევროკავშირის სტრატეგიული ინიციატივა, რომელიც აერთიანებს მდგრადობას, ესთეტიკას და ინკლუზიურობას, რათა ევროპის მწვანე გარდაქმნა გახდეს ადამიანზე ორიენტირებული, სოციალური თვალსაზრისით სამართლიანი და პრაქტიკულად განხორციელებადი. NEB წარმოადგენს ხიდს ევროპულ მწვანე შეთანხმებასა (European Green Deal) და მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებას შორის, ხელს უწყობს გარემოსდაცვით, სოციალურ და კულტურულ ინოვაციებს როგორც ურბანულ, ისე რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.



NEB-ის მნიშვნელობა უმაღლესი განათლებისა და კვლევითი ინსტიტუტებისათვის (HEI)

- ❖ აერთიანებს კვლევას, განათლებას, ინოვაციასა და დიზაინს;
- ❖ ქმნის შესაძლებლობას ინტერდისციპლინური კონსორციუმებისთვის (STEM + SSH + Arts);
- ❖ აძლიერებს ცოდნის გადაცემას რეალურ გარემოში;
- ❖ აფინანსებს კვლევით და ინოვაციურ მოქმედებებს (R&I);
- ❖ აძლიერებს ლაბორატორიებს, living labs-ს და საგანმანათლებლო ინოვაციებს;
- ❖ წარმოაჩენს HEI-ების როლს, როგორც გარდაქმნის აქტორებს რეგიონულ ეკოსისტემებში.

Topic: HORIZON-NEB-2026-01-BUSINESS-01

ქოლი:

Beautiful, Inclusive and Sustainable Neighborhoods for Communities - ლამაზი, ინკლუზიური და მდგრადი სამეზობლოები საზოგადოებისთვის

თემის სახელწოდება:

Structurally Addressing Homelessness through Coordinated Social Infrastructure and Services in Neighborhoods - უსახლკარობის სტრუქტურული გადაწყვეტა სოციალური ინფრასტრუქტურისა და უბნებში სერვისების კოორდინირების მეშვეობით

პროექტის კატეგორია: HORIZON Innovation Actions

ევროკავშირის მოსალოდნელი კონტრიბუცია პროექტზე (მლნ ევრო): 3.5

დაფინანსებული პროექტების საორიენტაციო რაოდენობა: 3

ბიუჯეტი (მლნ ევრო): 10.50

გახსნა / ბოლო ვადა: 05.05.2026/01.12.2026

Topic: HORIZON-NEB-2026-01-BUSINESS-01

მოკლე შინაარსი:

2024 წლის მონაცემებით, ევროპაში 1.2 მილიონ ადამიანზე მეტია უსახლკარო და ამ პრობლემასთან გასამკლავებლად მხოლოდ საბინაო პოლიტიკაზე დაფუძნებული მიდგომები არ არის საკმარისი. მოცემული თემის ინტერესის საგანია მიდგომები, რომლებიც სოციალურ ინფრასტრუქტურასა და სერვისებს აქცევს ყურადღების ცენტრში და ცდილობს ჯანდაცვის, განათლების, დასაქმებისა და სხვა სოციალური სერვისების გამოყენებით უსახლკარო ინდივიდთა რეინტეგრაციას საზოგადოებაში, რათა თავიდან იქნას არიდებულ ხანგრძლივვადიანი დამოკიდებულება გადაუდებელ დახმარებაზე.

მოსალოდნელი შედეგები:

- უბნის დონეზე უსახლკარობის დაძლევისთვის საჭირო სტრუქტურული სოციალური ინფრასტრუქტურისა და სერვისების შესახებ მონაცემების ხელმისაწვდომობა უსახლკარობასთან გამკლავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეებისთვის;
- სამიზნე უბნებში ძირითადი სოციალური ინფრასტრუქტურისა და სერვისების არსებობა და გაზრდილი ხელმისაწვდომობა უსახლკაროთა ჯგუფებისთვის.

Topic: HORIZON-NEB-2026-01-BUSINESS-02

ქოლი:

Beautiful, Inclusive and Sustainable Neighborhoods for Communities - ლამაზი, ინკლუზიური და მდგრადი სამეზობლოები საზოგადოებისთვის

თემის სახელწოდება:

Understanding Capital Market Dynamics for Increased Investment in New European Bauhaus Projects in Neighborhoods – კაპიტალის ბაზრის დინამიკის გააზრება სათემო უბნებში ახალი ევროპული ბაუჰაუსის პროექტებში ინვესტიციების გასაზრდელად

პროექტის კატეგორია: HORIZON Research & Innovation Actions

ევროკავშირის მოსალოდნელი კონტრიბუცია პროექტზე (მლნ ევრო): 3.5

დაფინანსებული პროექტების საორიენტაციო რაოდენობა: 2

ბიუჯეტი (მლნ ევრო): 7

გახსნა / ბოლო ვადა: 05.05.2026/01.12.2026

Topic: HORIZON-NEB-2026-01-BUSINESS-02

მოკლე შინაარსი: მცირე მასშტაბის NEB-პროექტებში ინვესტიციების მოზიდვას შესაძლოა ხელი შეუშალოს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეუსაბამობამ და დიდი საინვესტიციო ფონდების მიერ მოკლევადიან, ნაკლებსარისკო პროექტებისადმი უპირატესობის მინიჭებამ. მოცემული თემის ინტერესის საგანია ადგილობრივი განვითარებისკენ მიმართული, გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირება, რომელსაც რისკზე მორგებული ფინანსური ანაზღაურების უზრუნველყოფის პარალელურად შეუძლია ადგილობრივი სოციალური, კულტურული, ესთეტიკური და გარემოსდაცვითი ღირებულების შექმნა, - ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილებით, საზოგადოებრივი კეთილდღეობის, სოციალური ინკლუზიის, ადგილობრივი ეკონომიკური მდგრადობისა და მდგრადი განვითარების თვალსაზრისით.

მოსალოდნელი შედეგები:

- პროექტების განმახორციელებლებს, საჯარო ხელისუფლებასა და ინვესტორებს აქვთ უკეთესი წარმოდგენა კაპიტალის ბაზრის მოთხოვნისა და მიწოდების დინამიკაზე, რომელიც საფუძვლად უდევს ახალი ევროპული ბაუჰაუსის (NEB) პრინციპებთან შესაბამისი სათემო უბნების ტრანსფორმაციის ხელშემწყობ პროექტებში ინვესტიციებს;
- გაძლიერებული ინვესტიციები NEB-ის პრინციპებთან შესაბამის პროექტებში, რომლებიც მიზნად ისახავს სათემო უბნების მდგრად და ინკლუზიურ ტრანსფორმაციას.

Topic: HORIZON-NEB-2026-01-BUSINESS-03

ქოლი:

Beautiful, Inclusive and Sustainable Neighborhoods for Communities - ლამაზი, ინკლუზიური და მდგრადი სამეზობლოები საზოგადოებისთვის

თემის სახელწოდება:

Approaches to Reuse Vacant, Obsolete or Underutilised Spaces – მიდგომები თავისუფალი, , მოძველებული ან არასაკმარისად გამოყენებული სივრცეების ხელახალი გამოყენებისადმი

პროექტის კატეგორია: HORIZON Research & Innovation Actions

ევროკავშირის მოსალოდნელი კონტრიბუცია პროექტზე (მლნ ევრო): 4.5

დაფინანსებული პროექტების საორიენტაციო რაოდენობა: 2

ბიუჯეტი (მლნ ევრო): 9

გახსნა / ბოლო ვადა: 05.05.2026/01.12.2026

Topic: HORIZON-NEB-2026-01-BUSINESS-03

მოკლე შინაარსი: ევროპის საცხოვრებელი მოთხოვნილებები, არსებული შენობების არარაციონალურად გამოყენება, გარემოსდაცვითი ვალდებულებები და ევროკავშირის მიზანი: ,,ნულოვანი წმინდა მიწის მოხმარება 2050“ შესანიშნავ საფუძველს ქმნის არსებული სივრცის ხელახალი გამოყენებისთვის. მოცემული თემის ინტერესის საგანია ვაკანტური, მოძველებული ან არასაკმარისად გამოყენებული სივრცეების ხელახალი ექსპლუატაციის სისტემური მიდგომები, რომლებიც შეისწავლის ამა თუ იმ სივრცის მდგომარეობას და დაადგენს მისი ხელახალი გამოყენების შესაძლებლობას ადგილობრივ დაინტერესებულ პირებთან ერთად.

მოსალოდნელი შედეგები:

- ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გაზრდილი რაოდენობა სისტემატურად ახდენს ცარიელი, მოძველებული ან არასაკმარისად გამოყენებული სივრცეების იდენტიფიცირებასა და რაოდენობრივ შეფასებას მათი ხელახალი ექსპლუატაციისათვის, უბნების შინაარსის გათვალისწინებით, ადგილობრივი საზოგადოების გამოწვევებისა და საჭიროებების საპასუხოდ;
- განახლებული, ბუნებრივად აღდგენილი ან გარდაქმნილი სივრცეების რაოდენობის ზრდა, რომლებიც პასუხობს ადგილობრივი საზოგადოების გამოწვევებსა და საჭიროებებს.

Topic: HORIZON-NEB-2026-01-PARTICIPATION-01

ქოლი:

Beautiful, Inclusive and Sustainable Neighborhoods for Communities - ლამაზი, ინკლუზიური და მდგრადი სამეზობლოები საზოგადოებისთვის

თემის სახელწოდება : Addressing Homelessness through Housing-led Approaches Aligned with the New European Bauhaus - უსახლკარობის დაძლევა საცხოვრებელზე დაფუძნებული მიდგომებით, რომლებიც შეესაბამება ახალ ევროპულ ბაუჰაუსს (NEB)

პროექტის კატეგორია: HORIZON Innovation Actions

ევროკავშირის მოსალოდნელი კონტრიბუცია პროექტზე (მლნ ევრო): 4.3- 6.3

დაფინანსებული პროექტების საორიენტაციო რაოდენობა: **3**

ბიუჯეტი (მლნ ევრო): **12.6**

გახსნა / ბოლო ვადა: 05.05.2026/01.12.2026

Topic: HORIZON-NEB-2026-01-PARTICIPATION-01

მოკლე შინაარსი:

მოცემული თემა ფოკუსირდება იმ საცხოვრებელზე ორიენტირებული მიდგომების შემუშავებასა და განახლებაზე, რომლებიც ეფუძნება New European Bauhaus (NEB)-ის ღირებულებებსა და პრინციპებს. მოსალოდნელია, რომ ასეთი მიდგომები მოიცავს ზომებს, რომლებიც ვრცელდება ადრეული, პრევენციული ჩარევებით (upstream preventive measures) დაწყებული და იმ გადაწყვეტილებებით დასრულებული, რომლებიც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას მწვანე, დაბალნახშირბადიან, კლიმატურად გამძლე, ჯანმრთელობის ხელშემწყობ და სოციალურად ინკლუზიურ საცხოვრებელზე, რაც უზრუნველყოფს უსახლკარო მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს სხვადასხვა ტიპის სამეზობლოებში — ურბანულ, პერი-ურბანულ და სოფლის არეალებში.

მოსალოდნელი შედეგები:

პროექტმა წვლილი უნდა შეიტანოს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა მოსალოდნელ შედეგში:

- New European Bauhaus (NEB)-თან თანხვედრაში მყოფი საცხოვრებელზე ორიენტირებული მიდგომები ხელმისაწვდომი გახდეს იმ დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან უსახლკარობის პრობლემის გადაჭრაში;
- დაგროვდეს მტკიცე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნა NEB-თან თანხვედრაში მყოფი, საცხოვრებელზე ორიენტირებული მიდგომების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს უსახლკარობის დაძლევას (მათ შორის იმ პირებისთვის, რომლებიც დროებით ცხოვრობენ ნაცნობებისა და ოჯახის წევრების საცხოვრებელში), რათა აღნიშნული ცოდნა გამოყენებულ იქნეს სამეზობლო დონეზე, მწვანე ტრანზიციის კონტექსტში, პრევენციისა და ადრეული ჩარევის პოლიტიკებისა და მომსახურებების შემუშავებისა და/ან განახლებისთვის.

Topic: HORIZON-NEB-2026-01-PARTICIPATION-02

ქოლი:

Beautiful, Inclusive and Sustainable Neighborhoods for Communities - ლამაზი, ინკლუზიური და მდგრადი სამეზობლოები საზოგადოებისთვის

თემის სახელწოდება : Innovative Approaches for the Spatial Design of Neighbourhoods - **ინოვაციური მიდგომები უბნების სივრცითი დიზაინისთვის**

პროექტის კატეგორია: HORIZON Innovation Actions

ევროკავშირის მოსალოდნელი კონტრიბუცია პროექტზე (მლნ ევრო): 5

დაფინანსებული პროექტების საორიენტაციო რაოდენობა: 2-3

ბიუჯეტი (მლნ ევრო): 10

გახსნა / ბოლო ვადა: 05.05.2026/01.12.2026

Topic: HORIZON-NEB-2026-01-PARTICIPATION-02

მოკლე შინაარსი:

სამეზობლო საჯარო სივრცეების დიზაინი განსაზღვრავს მათ ფუნქციონალურობას, თუმცა, ასევე აყალიბებს სხვა ასპექტებსაც, როგორებიცაა ძალაუფლების დინამიკა და კუთვნილების განცდა. სამართლიანი მწვანე ტრანზიცია მოითხოვს, რომ სამეზობლო საჯარო სივრცეები დაიგეგმოს და იმართოს მომხმარებელთა მრავალფეროვანი ჯგუფებისთვის. ახალი მეთოდების ინტეგრირება (research-by-design, security-by-design ან life-centric design) შეიძლება დაეხმაროს იმ ღირებულებების, პრაქტიკებისა და დაინტერესებულ მხარეთა ურთიერთობების გააზრებას, რომლებიც საფუძვლად უდევს საჯარო სივრცეების დიზაინს, ასევე საჯარო სივრცეების არსებული ჩარჩოების გადახედვას.

მოსალოდნელი შედეგები:

New European Bauhaus (NEB)-თან თანხვედრაში მყოფი დემონსტრირებული მიდგომები არქიტექტორებს, დიზაინერებს, სივრცით დამგეგმავებსა და სამეზობლო დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, უზრუნველყონ მომხმარებელთა პერსპექტივების ეფექტიანი და შედეგიანი ინტეგრაცია საჯარო სივრცეების დაგეგმვასა და/ან ტრანსფორმაციაში;

• დემონსტრირებულმა მიდგომებმა უნდა უზრუნველყოს დადებითი კლიმატური, გარემოსდაცვითი, სოციალური და კულტურული გავლენა (მაგალითად, უთანასწორობის შემცირება და სოციალური ერთიანობის გაძლიერება, საზოგადოების მდგრადობის გაზრდა, სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა, ასევე უსაფრთხოების, საკუთრების განცდისა და კუთვნილების შეგრძნების გაძლიერება).

Topic: HORIZON-NEB-2026-01-PARTICIPATION-03

ქოლი:

Beautiful, Inclusive and Sustainable Neighborhoods for Communities - ლამაზი, ინკლუზიური და მდგრადი სამეზობლოები საზოგადოებისთვის

თემის სახელწოდება : Understanding inhabitant's experiences of neighbourhoods to support their health and well-being - უბნებში მცხოვრები მოსახლეობის გამოცდილების გააზრება მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მხარდასაჭერად

პროექტის კატეგორია: HORIZON Research and Innovation Actions (RIA)

ევროკავშირის მოსალოდნელი კონტრიბუცია პროექტზე (მლნ ევრო): 5

დაფინანსებული პროექტების საორიენტაციო რაოდენობა: 3

ბიუჯეტი (მლნ ევრო): 15

გახსნა / ბოლო ვადა: 05.05.2026/01.12.2026

Topic: HORIZON-NEB-2026-01-PARTICIPATION-03

მოკლე შინაარსი:

სამეზობლოები წარმოადგენს სოციალურ ქმნილებებს. ისინი ყალიბდება ბუნებრივ და აშენებულ გარემოში არსებული ადამიანური და არაადამიანური აქტორების კომპლექსური ურთიერთკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულებების შედეგად. საჭიროა მეტი მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორ რეაგირებენ მაცხოვრებლები თავიანთ სამეზობლოზე, როგორ აიგივებენ თავს მასთან და რა გავლენა აქვს ამ გამოცდილებებს მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ასევე საერთო კეთილდღეობაზე. მსგავსი ცოდნა დაეხმარება სივრცითი დაგეგმარებისა და რეგენერაციის სტრატეგიების გაუმჯობესებას, რომლებიც მიმართულია სამეზობლოების მწვანე გარდაქმნისკენ, მათ შორის ბუნებაზე დადებითი ტრანსფორმაციისა და კლიმატისადმი მდგრადობისკენ; ამავდროულად, უზრუნველყოფს დადებით სოციალურ და კულტურულ შედეგებს, როგორებიცაა- თემის შეგრძნება, უსაფრთხოება და კუთვნილების განცდა, ასევე კულტურული იდენტობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- სანდო მტკიცებულებების მიღება იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამენ მაცხოვრებლები საკუთარ სამეზობლოს და როგორ აისახება ეს გამოცდილებები მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე;
- კვლევის შედეგებმა უნდა უზრუნველყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მხარდაჭერა პოლიტიკის, სტრატეგიების, სამეზობლოს დაგეგმვისა და შესყიდვების პროცესებისთვის, რომლებიც უკავშირდება სამეზობლოების მწვანე გარდაქმნას, მათ შორის ბუნების დადებით (nature-positive) ტრანსფორმაციასა და კლიმატისადმი მდგრადობის გაძლიერებას.

Topic:HORIZON-NEB-2026-01-REGEN-01

ქოლი:

Beautiful, Inclusive and Sustainable Neighborhoods for Communities - ლამაზი, ინკლუზიური და მდგრადი სამეზობლოები საზოგადოებისთვის

თემის სახელწოდება:

Sustainable, Inclusive, Affordable and Beautiful Solutions for Thermal Comfort in Buildings - შენობებში თერმული კომფორტის მდგრადი, ინკლუზიური, ხელმისაწვდომი და ესთეტიკური გადაწყვეტილებები

პროექტის კატეგორია: HORIZON Innovation Actions (IA)

ევროკავშირის მოსალოდნელი კონტრიბუცია პროექტზე (მლნ ევრო): 4

დაფინანსებული პროექტების საორიენტაციო რაოდენობა: 3

ბიუჯეტი (მლნ ევრო): 12

გახსნა / ბოლო ვადა: 05.05.2026/01.12.2026

Topic:HORIZON-NEB-2026-01-REGEN-01

მოკლე შინაარსი:

თემა ფოკუსირებულია შენობებში თერმული კომფორტის გაუმჯობესებაზე ისეთი ინოვაციური, ენერგოეფექტური და მომხმარებელზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მეშვეობით, რომლებიც ამცირებს ენერგომოხმარებას, ემისიებსა და ენერგეტიკულ სიღარიბეს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალური თვალსაზრისით ინკლუზიურობას, ხელმისაწვდომობასა და ესთეტიკურ ხარისხს, New European Bauhaus-ის ღირებულებების შესაბამისად.

მოსალოდნელი შედეგები:

- ენერგეტიკული სიღარიბის შემცირება და მოწყვლადი ჯგუფების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- შენობების ენერგოეფექტურობის ზრდა და სათბური აირების ემისიების შემცირება;
- მომხმარებელზე ორიენტირებული, ესთეტიკურად მაღალი ხარისხის და სოციალური თვალსაზრისით ინკლუზიური მიდგომების დემონსტრირება;
- შენობებში თერმული კომფორტის მიღწევა და შენარჩუნება.

Topic: HORIZON-NEB-2026-01-REGEN-02

ქოლი:

Beautiful, Inclusive and Sustainable Neighborhoods for Communities - ლამაზი, ინკლუზიური და მდგრადი სამეზობლოები საზოგადოებისთვის

თემის სახელწოდება:

Advancing Sustainable Maintenance and Repair Measures for Existing Buildings - არსებული შენობებისათვის მდგრადი მოვლისა და შეკეთების ღონისძიებების უზრუნველყოფა

პროექტის კატეგორია: HORIZON Innovation Actions (IA)

ევროკავშირის მოსალოდნელი კონტრიბუცია პროექტზე (მლნ ევრო): 5

დაფინანსებული პროექტების საორიენტაციო რაოდენობა: 2

ბიუჯეტი (მლნ ევრო): 10

გახსნა / ბოლო ვადა: 05.05.2026/01.12.2026

Topic: HORIZON-NEB-2026-01-REGEN-02

მოკლე შინაარსი:

თემა მიმართულია არსებული შენობების მოვლისა და შეკეთების მდგრადი მიდგომების განვითარებაზე, მათი სიცოცხლის ციკლის გახანგრძლივების მიზნით. აქცენტი კეთდება შენობების ფუნქციური, სოციალური და კულტურული ღირებულების შენარჩუნებაზე. ამასთან, გათვალისწინებულია რესურსების ეფექტიანი გამოყენება და სამშენებლო ნარჩენების შემცირება.

მოსალოდნელი შედეგები:

- არსებული შენობების სიცოცხლის ციკლის გახანგრძლივება და მათი გამოყენების ეფექტიანობის ზრდა;
- შენობების ხელმისაწვდომობის, უსაფრთხოებისა და ესთეტიკური ხარისხის გაუმჯობესება;
- პირველადი ნედლეულის მოხმარებისა და სამშენებლო ნარჩენების შემცირება.

Topic: HORIZON-NEB-2026-01-REGEN-03

ქოლი:

Beautiful, Inclusive and Sustainable Neighborhoods for Communities - ლამაზი, ინკლუზიური და მდგრადი სამეზობლოები საზოგადოებისთვის

თემის სახელწოდება:

Innovative Solutions for the Sustainable and Beautiful Use of Vertical Space -

ვერტიკალური სივრცის მდგრადი და ესთეტიკურად ღირებული გამოყენების ინოვაციური გადაწყვეტები

პროექტის კატეგორია: HORIZON Innovation Actions (IA)

ევროკავშირის მოსალოდნელი კონტრიბუცია პროექტზე (მლნ ევრო): 5

დაფინანსებული პროექტების საორიენტაციო რაოდენობა: 3

ბიუჯეტი (მლნ ევრო): 15

გახსნა / ბოლო ვადა: 05.05.2026/01.12.2026

Topic: HORIZON-NEB-2026-01-REGEN-03

მოკლე შინაარსი:

თემა ეხება ქალაქებსა და დასახლებებში არსებული ვერტიკალური სივრცის პოტენციალის უკეთ გამოყენებას. ყურადღება გამახვილებულია მიწის რესურსის ეფექტურ გამოყენებაზე და ურბანული სიმჭიდროვის გამოწვევებზე. მხარდაჭერილია ინოვაციური გადაწყვეტები, რომლებიც აერთიანებს საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და მწვანე ფუნქციებს.

მოსალოდნელი შედეგები:

- ურბანული და სოციალური ინკლუზიისა და საზოგადოებრივი სივრცეების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- გარემოს ხარისხისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება;
- გარემოსდაცვითი, სოციალური და ესთეტიკური მიზნების ერთობლივი მიღწევა;
- მიწის გამოყენების ეფექტიანობის ზრდა და ეკოლოგიური ზეწოლის შემცირება.

NEB Facility – პარტნიორობის ღონისძიება

NEB Facility – Matchmaking Event 2026

🗓️ 5 მარტი, 2026 | 📍 ბრიუსელი

🚀 საერთაშორისო matchmaking ღონისძიება “NEB4All” ქსელის მიერ

💡 რატომ უნდა მიიღოთ მონაწილეობა?

- პარტნიორების მოძიება NEB 2026 კონკურსებისთვის;
- იდეების 5-წუთიანი წარდგენა (Pitching);
- one-to-one შეხვედრები.

🎯 ვისთვის?

უნივერსიტეტები | კვლევითი ცენტრები | მუნიციპალიტეტები | კომპანიები | კრეატიული სექტორი

🔗 რეგისტრაცია: b2match პლატფორმაზე

ℹ️ NEB 2026 საინფორმაციო დღის შემდეგ (24 თებერვალი)

ვებ-გვერდი:

http://horizoneurope.org.ge/en